


**შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის**



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
კაპიტალში ცვლილებები ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....	12
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
7. ძირითადი საშუალებები	14
8. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.....	14
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	15
10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	15
11. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2022
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	1,257,392
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	568,627
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,826,019
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7	134,862
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	8	28
სულ გრძელვადიანი აქტივები		134,890
მთლიანი აქტივები		1,960,909
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	888,718
საგადასახადო ვალდებულებები		30,275
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		918,993
მთლიანი ვალდებულებები		918,993
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		100
გაუნაწილებელი მოგება		1,041,816
სულ საკუთარი კაპიტალი		1,041,916
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,960,909

ალექსანდრ ერემენკოს
დირექტორი



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2022 წელი
ამონაგები		6,302,186
სხვა შემოსავლები		-
შრომის ანაზღაურება		(4,922,531)
იჯარის ხარჯები		(149,735)
საბუღალტრო მომსახურება		(21,781)
იურიდიული მომსახურება		(17,047)
ბანკის საკომისიო		(15,831)
ოფისის ხარჯები		(11,599)
კომუნალური ხარჯები		(6,036)
კომპიუტერის ხარჯები		(3,728)
ცვეთის ხარჯი		(11,791)
სხვა ხარჯები		(5,296)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან - წმინდა		(94,084)
საოპერაციო მოგება		1,042,727
ფინანსური ხარჯი		(911)
მოგება დაბეგვრამდე		1,041,816
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		1,041,816

ალექსანდრ ერემენკოს
დირექტორი



7-16 გვერდებზე მოცემული აბსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კაპიტალში ცვლილებები ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	100	-	100
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
წმინდა მოგება	-	1,041,816	1,041,816
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	100	1,041,816	1,041,916

ალექსანდრ ერემენკოს
დირექტორი



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	1,041,816
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით:</i>	
ცვეთის ხარჯი	11,791
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	89,626
ფინანსური ხარჯები	911
<i>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	(568,627)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	888,719
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	30,275
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,494,511
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(146,654)
სხვა საწარმოების წილობრივი ინსტრუმენტების შეძენა	(28)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(146,682)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	100
სესხის აღება	81,466
სესხის დაფარვა	(81,466)
გადახდილი პროცენტები	(911)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(811)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	1,347,018
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	-
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(89,626)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	1,257,392

ალექსანდრ ერემენკოს
დირექტორი



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 14 აპრილს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის და განვითარების მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, IV კვ., კორპ. N2, საცხოვრებელი ფართი, N76.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა N17დ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

კომპანია დაფუძნდა 2022 წლის 14 აპრილს, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაძარისი რიცხვები.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 22 მარტს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან და სხვა საწარმოების წილობრივი ინსტრუმენტებისგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად მომსახურების გაწევა ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები არადაბრუნებად ჩვეულებრივ აქციებში არადაბრუნებად ჩვეულებრივ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები საწარმოში, რომელიც არ მიეკუთვნება მეკავშირე საწარმოს, ერთობლივ საქმიანობას ან შვილობილ საწარმოს, თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების გამოკლებით. ამის შემდგომ, ასეთი ინვესტიციები ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. თუ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ინვესტიციების შეფასება ხდება თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. დივიდენდები აისახება სხვა შემოსავალში.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები არის ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობილია საქონლისა და მომსახურების შესყიდვით ჩვეულებრივი მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით. სავაჭრო ვალდებულებები ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად

განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია შეასრულებს თავის შესასრულებელ ვალდებულებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ
	დოლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადით იბეგრება კომპანიის მოგება განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 5%-ს ნაცვლად 15%-სა,

ვინაიდან კომპანიას გააჩნია "საერთაშორისო კომპანიის" სტატური და სარგებლობს საგადასახადო შეღავათით. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა..

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კომპანია საერთაშორისო კომპანიის სტატუსის ფარგლებში აგრეთვე სარგებლობს შეღავათით, კომპანიის მიერ გაცემული ხელფასი იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5% განაკვეთით, ნაცვლად 20%-სა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალდებულებების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)

31.12.2022

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

26,524

შპს აითრანშიზნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,230,868
სულ	1,257,392

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	
(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან - ნეტო	548,114
გადახდილი ავანსები	20,513
სულ	568,627

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

7. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	კომპიუტერები	სულ
თვითღირებულება		
31 დეკემბერი 2021		-
შემოსვლა	146,654	146,654
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	146,654	146,654
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2021		-
პერიოდის ამორტიზაცია	(11,791)	(11,791)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2022	(11,791)	(11,791)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2021	-	-
31 დეკემბერი 2022	134,862	134,862

8. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

შპს აითრანზიშნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022
სხვა საწარმოების წილობრივი ინსტრუმენტები	28
სულ	28

კომპანია ფლობს წილობრივ ინსტრუმენტებს სხვა საწარმოში. წილობრივი ინსტრუმენტები არ არის კოტირებული საჯაროდ, შესაბამისად კომპანია ვერ ახდენს რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასებას მიზანშეუწონელი დანახარჯების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე წილობრივ ინსტრუმენტები შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	
(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,993
გადასახდელი ხელფასები	885,725
სულ	888,718

10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აითრანზიშნ სოფთვეარ ლიმიტიდ, რომელიც წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტს.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფ/პ სერგეი გვარდევცევი.

კომპანიას ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან განხორციელებული აქვს შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022
ჯგუფის სხვა კომპანიები	
მომსახურების გაწევა (ამონაგები)	6,302,186
დაუფარავი ნაშთები (დებოტორული დავალიანება)	548,114
სულ	548,114

კომპანია ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებს აწვდის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის და განვითარების მომსახურებას. დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვის

შპს აითრანშიშნ სოფთვეარ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვადა შეაგდენს მომსახურების გაწევიდან 1 თვეს. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. 2022 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა.

კომპანიას ჯგუფში შემავალი კომპანიისგან მიღებული ქონდა მოკლევადიანი არაუზრუნველყოფილი სესხი, სესხს ერიცხებოდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი.

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები:</i>	
საწყისი ნაშთი	-
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	81,466
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(81,466)
დარიცხული პროცენტი	911
გადახდილი პროცენტი	(911)
საბოლოო ნაშთი	-

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

(თანხები მოცემულია ლარში)	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	86,966
სულ	86,966

11. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს აღგილი არ ჰქონია.